ნახ. მამია მალაზონიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა, ძმაო, კაცს რომ ვეძებდით... ამის მეტი ვერავინ ვერ გაგვატანინებს მანდარინს!..

ნიანგი

2

გამოცემის 52-ე წელი. (№ 1444). იანვარი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ეს ფურცელი ეძღვნება „ჩვენ“!

ჩვენ აშკარად უნდა ვუფრთხილდეთ ისეთ პირმოთნე მეგობრებს, რომლებიც მართალია აცხადებენ, რომ პრინციპში გვეთანხმებიან მაგრამ ეჭვი ეპარებათ მათ განხორციელებაში, აქაოდა მსოფლიო საამისოდ ჯერ კიდევ არ მომწიფებულაო, და რომლებსაც არც კი აქვთ განზრახული ხელი შეუწყონ მის მომწიფებას, პირიქით, იმას ამჯობინებენ, ამქვეყნიურ ჭირ-ვარამში ყოველგვარი უკეთურის ხვედრი გაიზიარონ.

... ისინი სახიფათო ხალხია!

— გვაფრთხილებენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი.

და მართლაც, რამდენ ხიფათს გადაგვყარეს ასეთმა ადამიანებმა!

ერთი ეპიზოდი იმ გახმაურებული საქმიდან, რომელიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის პეტრე გელბახიანის სახელს ატარებს.

ერთი მრავალთაგანი, რომელიც ჯერ გარეთ არ გამოსულა, სალაპარაკოდაც არ გამხდარა. ალბათ, იმიტომ, რომ სრულიად ახალია.

არავითარი ეპითეტებით არ შევამკობთ ამ ეპიზოდს. თვითონ განსაჯონ ათ, ვინც, როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის მიერ გამოკითხულთა 12,8 %-ს შეადგენს და რომლებიც აცხადებენ, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ვერ ხედავენ რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს.

...ეს ეპიზოდი თავისი სიმწვავით სრულიად არ გამოირჩევა სხვებისაგან და პირიქით, თუ რამით გამოირჩევა, სწორედ თავისი „ჩვეულებრივობით“.



თეთრით შავზე!

ვლადიმერ ლევანის ძე ჯინანიანმა მიზნად დაისახა ექიმი გამხდარიყო. დედამ — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ეკატერინე ბაგრატის ასულმა ბარათაშვილმა და მამამ — თბილისის მოდელების სახლთან არსებული № 2 ატელიეს მოდელიორ-გამომჭრელმა ლევან ნაზარის ძე ჯინანიანმა ყოველმხრივ შეუწყეს ხელი ბავშვს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში.

ვლადიკა ჯერ მოსკოვში წავიდა სამედიცინო ინსტიტუტში მოსაწყობად, მაგრამ პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. გული მაინც არ გაუტეხია და თუ პირველად პირველში არ გაუმართლა, მეორედ მოსკოვის მეორე სამედიცინო სასწავლებელში მოეწყო.

იქიდან ვ. ჯინანიანი თბილისში აპირებს გადმოსვლას, მაგრამ ჯერ ეს არ ხერხდება და თბილისის გავლით ერევანში გადმოდის.

ამის შემდეგ ვლადიკამ გაიცნო მამამისთან ერთად ატელიეში შეგირდად მომუშავე, ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოდან ჩამოსული მთიელი გოგონა მარიამ ელიაძე. ითხოვა ცოლად. მერე მიმართა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს პ. გელბახიანს: საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლასთან და საერთოდ „ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო დაბეჯითებით გთხოვთ გადმომიყვანოთ თქვენდამი რწმუნებულ ინსტიტუტში“-ო. განცხადებას თან ერთვოდა ქორწინების მოწმობა გაცემული ორჯონიკიძის მმაჩის ბიუროს მიერ და დახასიათება, მაუწყებელი იმისა, რომ იგი „*მიეცა ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტ ვ. ლ. ჯინანიანს, რომელიც გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით, კეთილსინდისიერებით. გულისხმიერი ამხანაგია, მორალურად თავდაჭერილი*“.

ყველაფერი თავის ადგილზეა, დახასიათებას, როგორც წესი, ხელს აწერს პროფესორი ვ. ზ. გრიგორიანი.

პ. გელბახიანს, წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, თითქოს საფუძველი არ ჰქონდა უარი ეთქვა გადმოყვანაზე. მაგრამ მან, ჩვეული სიკერპით, მაინც უარი განაცხადა — ვერ გადმოვიყვან, ადგილი არა მაქვსო.

ბოლოს პ. გელბახიანმა მიიღო საკავშირო უმაღლესი სატესტაციო კომისიის ოფიციალურ ბლანკზე შედგენილი წერილი სამედიცინო განყოფილების ინსპექტორის ამხ. ა. ვ. ზიკოვისა, რომლის წინაშეც უძლური აღმოჩნდნენ.

ასე და ამგვარად, 1972 წელს ვ. ლ. ჯინანიანი გადმოყვანილ იქნა ერევნიდან და ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში!

ასე დამთავრდა ეს სრულიად ჩვეულებრივი ისტორია. ერთი შეხედვით ყველაფერი ბუნებრივად გეჩვენება კაცს, ასე არ არის?.. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

შავით თეთრზე!

საკვირველია, მაგრამ ფაქტია — პროტექციონიზმის ამ დროინდელ ბუნაგში, თავდაპირველად, მაინც არ გაჭრა მშობლების ამ ვოიაჟმა.

მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია, თუმცა ესეც ფაქტია, რომ ერთმა პატარა ქაღალდმა, კერძოდ საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის სამედიცინო განყოფილების ინსპექტორის ა. ვ. ზიკოვის წერილმა — გაჭრა!

როცა ყოფილ რექტორს ეს წერილი გადაეცა (მოვიყვანთ ამონაწერს ვ. ჯინანიანის დედის ჩვენებიდან) „იგი აღშფოთდა—*ამ კაცს როგორღა მიაგენი, ეს რა დღეში ჩამაყენე, ამ კაცს უარი როგორ ვუთხრაო*“ და... პ. გელბახიანის „პრინციპულობას“ ბზარი გაუჩნდა.

სეზამ გაიღე!.. და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აქამდე ყრუდ დახშული კარი, მართლაც, სასწაულებრივად გაიღო.

ალექსანდრე ვასილის ძემ ეს წერილი ოფიციალურ ბლანკზე არაოფიციალურად გამოუგზავნა ყოფილ რექტორს, ძველი ნაცნობის, ვალოდიას დედის ქალბატონი ეკატერინეს ხელით და ადრესატს აღუთქვა ვალში არ დაგრჩებიო. პატივცემულო მკითხველო! ამჟამად ეს ვალი გაშიფრულია და სულ მისსლობით აწონილ-დაანგარიშებული. ყოველ შემთხვევაში, აქ რაიმე მოქალაქეობრივ, ან კაცურ ვალზე სრულიადაც არ არის ლაპარაკი.

ახლა, რას გულისხმობს ასე პატივცემული ა. ვ. ზიკოვი, როცა წერს, რომ „ვ. ლ. ჯინანიანის გადმოსაყვანად, როგორც იურიდიული, ისე მორალური თვალსაზრისით, არსებობს ყველა საფუძველიო“ (!?). ალბათ იმას, რომ ვ. ლ. ჯინანიანმა ცოლად შეირთო თბილისელი მარიამ ელიაძე.

— დიახ,— აცხადებს დედა ვალოდიასი და დედამთილი მარიამისა, — ენაცვალოთ დედა, მათ ყველა წესისა და რიტუალის დაცვით იქორწინეს.

სინამდვილეში!..

(ამონაწერი პატარძლის ჩვენებიდან)

„*მე მისი ცოლი არასოდეს არ ვყოფილვარ (!?).*

...ყაზბეგის რ-ნის სოფ. სნოში დავამთავრე 7 კლასი. თბილისში საცხოვრებლად გადმოვედი ბიძასთან. მუშაობა დავიწყე ატელიე № 2-ში მკერავ-გამომჭრელის მოწაფედ, იქ მუშაობს ჯინანიანი ლოვა... ერთხელ ლოვამ გვერდზე გამიხმო და მითხრა: ჩემი შვილი სწავლობს ერევანში, ვიღაც გოგო

აეკიდა და უნდა დაგვეხმარო გადმოყვანაშიო. ჩემს შეკითხვაზე — მე რა შემიძლია-მეთქი? — წინადადება მომცა:

— ხელი მოაწერეო!

მე თუმცა ვგრძნობდი, რომ არასწორ მოქმედებას ჩავდიოდი, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხე და რამდენიმე დღეში ხელი მოვაწერეთ... შემდეგ მე წავედი ჩემს სახლში, ის კი თავისაში...“

ეს დოლიძის ქუჩაზეა ჩაწერილი, ის — ბარნოვის ქუჩაზე. ცოლ-ქმარი ერთად კინოშიაც არ ყოფილან. არ ისმის ფელიქს მენდელსონის საზეიმო საქორწინო მარში!.. ღმერთო ჩემო, რამდენი სიყალბეა, რამდენი სიმრუდე!

ხელმოწერის დღესვე — 1972 წლის 30 ივნისსაა შეტანილი ვ. ლ. ჯინანიანის განცხადება რექტორთან *„ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამოო...“*

ვის ეცალა ქორწილისათვის, ან რა ქორწინებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როცა „პატარძალი“ 1934 წელსაა დაბადებული, ნეფე კი — 1951 წელს! აშკარად „უთანასწორო ქორწინებაა“ და ისიც შებრუნებული ვარიანტით. საერთოდ, აქ ყველაფერი უკუღმაა და თეთრი ძაფით ნაკერი.

აი, რა საზარელ სურათს ვიღებთ, როცა ასეთი სიყვარულია, როცა ასე ესმით მშობლებს შვილებზე ზრუნვა.

იმ დროს, როცა ეს საკითხი გადაწყდა, პ. გელბახიანი გადაყენებული იყო რექტორობიდან და კათედრის გამგე გახლდათ.

ვ. ლ. ჯინანიანის გადმოყვანის დოკუმენტზე იგი მაინც მთელი სიგრძე-სიგანითაა აღბეჭდილი: რექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი... ტიტულებს ცერად აქვს ხაზი გადასმული (ძველ რექტორს ჯერ მთლად არ ჰქონდა ხაზი გადასმული და გარკვეულ ძალას ინარჩუნებდა) და ხელს აწერს ყოფილი პრორექტორი გ. გვიშიანი.

ამ ფაქტის ჰუმანურობაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმიტომაც გვეპარება ეჭვი, რომ აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ლენინის ორგზის ორდენოსან, ხუთი ვარსკვლავის კავალერ, გრიუნვალდის საპატიო ჯვრის ორდენითა და 7 მედლით დაჯილდოებულ, სსრ კავშირის გმირის, გენერალ-მაიორ ერმალოზ კობერიძის განცხადებას, რომელიც მორდავეთის ასსრ სარანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან შვილის მშობლიურ თბილისში გადმოყვანას თხოულობდა, მაგრამ სრულიად უიმედოდ.

„ვარ მარტო, მეუღლე შვილს ვერ ტოვებს, მასთანაა. უმორჩილესად გვთხოვთ გამიწიოთ დახმარება, როგორც ჯარისკაცს...“

კითხულობთ უღირსი ადამიანებისაგან იმედგამოლეული კაცის ამ სტრიქონებს, რომლებმაც ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს ყოფილ რექტორზე. კობერიძისათვის, რატომღაც, კარი დახშული აღმოჩნდა.

რა იცოდა სამამულო ომის ვეტერანმა, სამშობლოს ერთგულმა ჯარისკაცმა, რომ არსებობდა ვინმა **ა. ვ. ზიკოვი**, რომლის საპროტექციო ბარათს მაგიური ძალა ჰქონდა, იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ პ. გელბახიანი პირად ვალში იყო მასთან, ძველი პრინციპით—ხელი ხელს ბანს!

კითხულობთ, იხედებით ტომებად ქცეულ საქმეში და გული გეკუმშებათ.

ამიტომ, დიახ, აუცილებლად მიგვაჩნია ითქვას სრული სიმართლე: **იმ დილამ რაც ქნას, ამ დილამა თქვას!**

ნიანგი

გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს **ხუტა ბერულავას დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა.**

საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

პირველი ლექსი ხუტასი ხალხმა აქცია სიმღერად!
მას შემდეგ მისი ლექსები სულ სიმღერებად იღვრება!
ხატულ-ხატულა წიგნებით ახარა ჩვენი ბავშვები, —
ცოდნის კარები შეაღეს მისი ზღაპრული რაშებით!

ნახევარმა საუკუნემ გულში ტკბილად ჩაიხუტა, —
ატომური ენერგიით დამუხტული ჩვენი ხუტა!...
და ასკეცი მისცა ძალა მეტი შრომის, მეტი ბრძოლის, —
ვაჟკაცს, ერთერთ აღმშენებელს ქართულ წიგნთა სვეტიცხოველის!

„ნიანგის“ დავალებით **ზაურ გოლქვაძე**

„ნიანგის“ რეგოლუცია

— დღეს თუმც ეკუთვნის
სიმართლეს სიტყვა,
ხომალდი ისევ
სწორი გზით მიგვყავს,
სიმართლე, როგორც სინათლე გვიყვარს,
სინათლე, როგორც სიმართლე გვიყვარს..
მაგრამ... ჯერ კიდევ
პირდაპირ, გაკვრით,
აქა-იქ ისევ შემოგვრჩა ნაკლი!
იმ ნაკლის რისხვად ყველგან რომ
ვქროდე,
ხელთ ზუსტი საზომ-საწონი მქონდეს,
არვინ დავზოგო, ჩემია, სხვისი, —
ყველას მივუზღო, რის იყოს ღირსიც!
მილიმეტრია, კაპიკი, გრამი,
ცილოვატია, წვეთი თუ წამი, —
ყველაფერს ედოს თავისი ფასი,
ყველაფერს ერქვას სახელი თვისი...
აღარ მოედოს ჩვენს სინდისს ხავსი,
არ „დაიფაროს“ თვალები ნისლით,
თეთრს ერქვას—თეთრი, შავს ერქვას—
შავი,
კარგს ერქვას—კარგი, ავს ერქვას—ავი,
მტრედს ერქვას — მტრედი, სვავს
ერქვას — სვავი,
ბოროტებასთან არ შეეკრა ზავი!

გიორგი უფთეკაური

ნარევი

სერგეი მიხალკოვი

ბიუროკრატი და სიკვდილი

სწორედ იმ დღით
ბიუროკრატის წასასვლელად გაჩნდა სიკვდილი.
ნახევარი დღე მიაღებინა იდგა სიკვდილი,
ნახევარი დღე მიაღებში იდგა სიკვდილი,
ნახევარი დღე რიგს ელოდა ძალამიხდილი.
იმ რიგს,
რომელიც კედელ ეზრდებოდა,
ერთი წამითაც არ მცირდებოდა.
ამდენ ლოდინში
გადაიფიქრა
და სიკვდილი... გარდაიცვალა!
„რაო? სიკვდილზე ძლიერია ბიუროკრატი?"
არა!
და მაინც ცოცხლობს კიდევ, თუმცა დრო გადის...

თარგმნა ხუტა ბერულავამ

გულამოსკვნილი ესაა პროდის...

დღის ცვარი კარ გეგონოთ, ეს ცრემლია. ყვავილების ბოსტანდარი ცრემლ ეგზისა გამოგიი, ბაგრამ ყვავილების კულიდან გადგულამოსკვნილია? — რა ვქნა, საყვარლ, ყვავილის ტირილი, თანაც ეტანილად ჩაჭიანძლეს ბაგან და ძაგანი. ყველაფ ზრ ან ეძებნო, — ეკვავილი ბრძანებენთ ბაგებს; — ეს ყვავილი ჭეშეს კოლოფი გაკეთებან. საბუთებსაც ბაგან და ძაგანი. — „ეკვავილი ბრძანებენთ და კეთილი ინებეთ, ჭალისა და ღიმილი დაფარქეიეთ!"

„ფერცლეში ეარ ეგ დაჭყ:ლი და ბედნიერება და ბედნიერება ეარ ბეთ!"

„ბედნიერება და ბედნიერება ეეძებთ!"

ჩვენ ეკვეანაზე მოცელს ბაეა ბარი კიდევ ჭკონდეს, ბარ? ჰაი, ფეფანა, თითქოს ბოდეტელი ღიმილი ადამიანებისათვის არ ეკვეტებოდეს.

— რაღას ეარ ეარტანი, ეკი თქვენი ბედნიერი ღიმილი ადამიანს ხელი ეკიდოდეს.

— ეკვეანაზ ხელი ეკიდეთ?

— ეკვეანაზ ეკიდეთ, ეკი თქვენი ბედნიერი ღიმილ ეკიდეთ, ბატონო, როგორ არ ეკიდეთ. — „ეშეკოლეეეეი ინეთ ის ეკეთილოლოგი. ეკიდეთ ბაზარში ფოთეარეშეკოლეი ყვავილების ყასბები ეკითხეთ ბაინეკინებეთ, ბაშეკოლი მეკვავეთან დაკეოლი ხელეკი არ ეკოკავეს ინ კეკინებეთ, ბაშეკოლი მეკვავეთან დაკეოლი ხელეკი. ეკეოლ ბეეარეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალეიდოსკოპი

ვბერტყე, ვბერტყე, ვერ დავბერტყე. — (იაფეზედგაფსი)
ვლეჭე, ვლეჭე, ვერ დავლეჭე. — (ითაინქგ)
ლეწე, ლეწე, ვერ დალეწე. — (ეგიფაფეიზფ)
ვაძლე, ვაძლე, ვერ გავაძლე. — (იფაგაფზზფ)
ვჭამე, ვჭამე, ვერ შევჭამე. — (ითზეგაფგეგიდ)
ვუარე, ვუარე, ვერ შემოვუარე. — (ნაითფიგეიდგ)

ქ. ა.



— ა ძმაო, ყაჩაღი!.. მოკალათებულა აგერ ტკბილად და თბილად...
— არა, ბიჭო, კაკო ყაჩაღივით ტყეში წავალ და თავს გავიცივებ.

— მოდი, ბიჭო, ვიშაიროთ, ნუ ხარ გაშტერებული...
— შენ დაიწყე, მე აგყვები, რა დღე უნდა გაყარო!!!
— სკოლის ზარმა იწკრიალა, ჰერი, ბიჭო, ჰერიო!
— ჩვენი მეზობლის ბიჭუნა მამიკოსთან არაყს სვამს!
— ე რა კარგი დღე გათენდა, სად წავიდეთ, გავერთოთ??
— ჩვენს დინამოს ფეხბურთელებს სტადიონი არ უნდათ???
— თბილისო, როგორ შენდები, მაღალ-მაღალ სახლებით,
— ჯერ ყველაზე მაღალია სასტუმრო „ივერია“...
— გლდანშიც მეტროს აპირებენ, გაიხარებს ქალაქი,
— აი, ნახავ თუ რუსთავიც თბილისი არ გახდება!
— ცოლი ქმარს რო გაეყარა, ყველაფერი გაიყვეს...
— ბავშვს შუაზე ხომ ვერ გაჭრი, თავის ბაბოს მიუგდეს!
— თეატრსა აქვს თავის სახე, თუ დაჰკარგა, იღუპება...
— „კინოს სახლში“ კინო გადის შუაღამეს...ხაშამდინ!
— ზოგი კაცი პატიოსან კაცობაზე თავსა სდებს...
— მა ი ჭაღი რათ ჩამოხსნა, სარდაფში რათ დამალა?!
— პირში ეგრე რომ მიცინი, ზურგს უკან რათ მაგინებ?!
— მაშ არა და ჩუმად ვიყო?? აზირ მე გაკრიტიკო?!
— ვიტრინაში ხილ-ბოსტანი ბრწყინავს, როგორც მარგალიტი!
— დახლიდან კი მომასაღეს დამჭკნარი და ჭიანი!
— აღარა ჩანს სიგარეტი, არც „კოლხიდა“, აღარც „ლუქსი“,
— მა „დაისი“ რო გამოდის იმას ფილტრი არ უნდა?!
— ერთი ჩვენი მხატვარია გადიხადა იუბილე,
— რიმსკი-კორსაკოვს ხატავდა, გამოვიდა არსენა.
— ქეთოს ქმარი დაიჭირეს, ვოლგის იქით გაგზავნეს...
— ქეთომ „ვოლგა“ გაუყიდა, გაუგზავნა ნომერი!
— აბანოში შუქი ჩაქრა, დაუძახეს ოსტატ მიხას...
— „კაცებისა აქეთ არი, არაფერი შეგეშალოს!!!“
— ე როგორი შაირია?! არ გამოგდის, შვილოსან!
— მერე რა, რო არ გამომდის, ს ი მ ა რ თ ლ ე ხომ ვიმღერე!

ქართლოს კასრაძე

ფოტოობიექტურად!

ყურით გაგონილს, მოთრეულს რომ თავი დავანებოთ, ფოტოობიექტური თვალით დანახული ჯობს.

ახლახანს თბილისში გაჩნდა თანამედროვე ულტრარეკლამის ქართული ნიმუში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეებს აუწყებდა რომ: „მიღებულია ახალი სიმინდის ფქვილი აბაშის რაიონიდან წყლის წისქვილზე დაფქვილი“.

„ფასი...“ თუმცა, ახლა ფქვილის ფასზე უფრო ამ პროვინციალური განცხადების ფასია საინტერესო.

ჩვენ ასეთი ზუსტი ინფორმაციის წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ აქ ლაპარაკია „ქალაქრეკლამის“ მსგავსი შედევრების მხატვრულ სახეზე.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა!

* * *

ეს აფიშა, გარდა ახალი კინოფილმისა, იუწყება, რომ ხაშურის კინოგზელთა კულტურის სახლის კინოთეატრის მესვეურებს მოსახლეობის კინომომსახურების არც კულტურა აწუხებთ და არც დიდი ცოდნა.

მართალია, აფიშა ჩარჩოშია ჩასმული, მაგრამ რაც შიგ წერია, როგორც იტყვიან, არც ერთ ჩარჩოში არ ეტევა.

„Земля лицемеров“ — იუწყება აფიშა რუსულად.

„მიწა მზომელი“?! — იუწყება აფიშა ქართულად!?

«Лицемер» — ფარისეველი, პირმოთნე, პირფერი, თვალთმაქცი, ორპირი... ჰა და ჰა, თუ მაინცადამაინც თითლიბაზი რომაა, ეს ვიცოდით, მაგრამ ვის მოუვიდოდა თავში აზრად, თუ იგი შეთავსებით „მიწა მზომელიც“ იყო?

„საერთო ბაზრის“ ლიდერები ბევრს გაჰყვარიან ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შემავალ ცხრა სახელმწიფოს შორის არსებულ იდილიაზე, მაშინ, როცა ეს ქვეყნები სავაჭრო შინაომის მიჯნაზე დგანან.

ერთი თხილის გული და ცხრა ძმა!

59
78
6.11.1

პატივცემულო ნიანგო! ჩვენ წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკიდან გირეკავთ. წყალტუბოდან ჩვენ სოფლამდე 4 კილომეტრია. გზაც არის და ავტობუსიც, მაგრამ ავტობუსის მძღოლმა მოძრაობის გრაფიკი დაკარგა და მის საძებნელად რატომღაც სულ ქორწილებსა და ქელეხებში დადის. თუმცა რა დაუკარგია, რას დაეძებს. ჩვენ კი წყალტუბო-მაღლაკის ავტობუსს ველით და ველით, როგორც ზღვისპირას ამინდს.

— ავტობუსი ნემსი ხომ არაა, ვიპოვით!

— თუ ამდენ მადლს იზამთ, მარილიც მოაყარეთ. ავტობუსს რომ იპოვით, მის მძღოლს უთხარით, რომ მგზავრობისათვის დადგენილი 30 კაპიკის ნაცვლად 50 კაპიკს ნუ გადაგვახდევინებს.

— თუ დადგენილი თანხა იცით, ზედმეტს რატომ იხდით, თქვე დალოცვილებო?!

* * *

ძვირფასო ნიანგო! ჩვენ წიფის გვირაბის იქიდან, სოფელ წიფადან გირეკავთ.

— რით შეგვიძლია გემსახუროთ?

— წიფის სადგურში თითქმის ყველა მატარებელი ჩერდება, მაგრამ რად გინდა! პლატფორმა არ არის და ვაგონის კიბე თავზე გადაგვდის.

— მერე, რა პლატფორმაზე დგანან თქვენი სადგურის მესვეურები, არ ფიქრობენ რამეს?

— ფიქრით დიდი ხანია ფიქრობენ, მაგრამ ფიქრი შველის საქმეს? ნიანგო, იქნებ დაავალო სადგურის მოლარეს ბილეთთან ერთად მისადგმელი კიბეები, ტახტი, ტაბურეტი, ან ვენური თუ არა ჯანდაბას, ჩვეულებრივი სკამი მაინც მოგვიყიდონ, რომ ვაგონის კარებს მივწვდეთ.

ნახატი თემების ავტორები: ვ. ნიშნიანიძე, ქ. კვარაცხელია, ზ. ბოლქვაძე, თ. კანდელაკი, რ. მიშველაძე, ვ. ალაფინაძე, ვ. ლომიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ზ. გეგაჩაშვილი (მთ. რედაქტორი), ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაშხია (მხატ. რედ), ნ. ფველიძე, ვ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● ტექნიკური რედაქტორი ვ. კუხალაშვილი, ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ● მაღალი ალაფლიგად 25/XII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საერთაშორისო-საგამომცემლო თობალი 1,4 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 4621. უე 01746. ტირ. 135.070 ● Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ვერავარი რედაქტორის მოადგილე
ბიზნ ნიშნიანიძე

ამრიანი ამრეები

ნამდვილი საკვირველებაა—ჩანგალი და დანა შენა გაქვს ხელში, შეუიარაღებელი ოფიციანტი კი ტყავს გაძრობს!

ნიჭის გამომჟღავნება მითხარი, თორემ დამარხვას რა უნდა.

საწყალი მზე, მეთოთხმეტე საუკუნემდე არც იცოდა სამყაროს ცენტრში რომ იყო.

ბუფეტიან და უბუფეტო დაწესებულებაში თანამშრომლები ერთნაირად ჭამენ... ერთმანეთს.

კურორტზე თავისუფლად შეგიძლია იმკურნალო ნერვები, რომელიც საგზურის მიღებისათვის ბრძოლის დროს აგეშალა.

პირველი მეჭრთამე ისაა, ვინც პირველად მადლობას — ცარიელი მადლობა უწოდა.

საიქიოდან რომ არავინ დაბრუნებულა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იქ კარგადაა საქმე.

გიგლა ბახტაძე

რუსთაველის პროსპექტზე № 24-ში მდებარე ერთ საზკვების ობიექტში ისეთ განცხადებას წავაწყდით:

„ხაჭაპურის გატანა აკრძალულია“.

კიდევ კარგი, რომ ამ ამბის გარეთ გატანაც არ არის აკრძალული. ამ ამკრძალავი ნიშნის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „წესრიგის“ დარღვევის, ესე იგი ხაჭაპურის გარეთ გატანის შემთხვევაში, ავტორ ან საზკვების ინსპექტორი ტალონის მაგივრად პირდაპირ ხაჭაპურს გაგიხვრიტავთ.



Индекс 761

— გთხოვთ მოახსენოთ ჩვენს რადიომსმენელებს, სად ისწავლეთ ასე კარგად შაშის თამაში?
— სამსახურში.

ნახატები:
ზ.ლეჟავასი
ნ.მალაზონიასი
გ.ფირცხალავასი
ო.ჯიმშერიანისა
ზ.ფორჩხიძისა

— ხომ მოხსნეს, რაღას დადის აქ?!
— დაკარგულ კატეგორიებს ეძებს!

— ეს კაცი არ ამბობს, თორემ ნამდვილად პატიოსანია!

— ფულზე ხელი დაიდე და მითხარი — ქრთამი არ აგიღია?



— რა ატირებს დეზდემონას?
— იტირებს, აბა, რა იქნება. მაგისი დამახრჩობი კლარაჯინკა ქართულ თეატრში!

— არსად ნაცნობი არა გყავს, აქამდე რომ ვერსად მოეწყვე?!
— ყველგან რომ მიცნობენ, სწორედ იმიტომ არ მიღებენ!..



— „მოიუშხი“ შპალერი არ გინდათ?!
— რად მინდა, ჩვენთან წყალი არ მოდის!..